

**ოქმი #4**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს მორიგი სხდომის**

2019 წელი, 15 თებერვალი  
ქ. ოზურგეთი  
11.00 – 12.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გიორგი ღურჯუმელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. საჯაია, ლ.ბიგვაჯა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე, შ.გოგობერიძე, ბ.ქათამაძე. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ალ.სურგულაძე. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები. მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 10, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთი საკითხის - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“-დამატებით.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი:** გიორგი ღურჯუმელიძე

**თანამომხსენებლები: პავლე ჭყონია**

**გიორგი ჩაგანავა**

ამ საკითხთან დაკავშირებით ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამის კომისიებს განეხილათ და ბიუროს მორიგ სხდომაზე დასკვნების წარმოდგენის შემდგომ შეეტანათ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალექსანდრე ბერიძე**

**გიორგი ჩაგანავა**

ამ საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ლ.საჯაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ რესტორნებისა და სასადილოების მოსაკრებელი არ უნდა იყოს თანაბარი, რასაც ბიუროს წევრები არ დაეთანხმნენ.

ბიუროს წევრმა შ.გოგიბერიძემ განაცხადა, რომ ცხრილიდან უნდა ამოიღონ „სამხედრო ნაწილები“, ამას არ დაეთანხმა ბიურო-განმარტეს: ეს არის მთავრობის მიერ მოწოდებული ჩამონათვალი.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ლაშა თავაძე**

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა შ.გოგიბერიძემ იკითხა: რატომაა კრება უფლებამოსილი შეიქმნას 500 ამომრჩევლიდან დაწყებული და კრების გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ქვორუმის შესახებ, რაზეც მიიღო განმარტება.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი შეტანილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადებისა და კომისიების დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ზღვის სანაპიროზე არსებულ გასასვლელისათვის „ნიკოლოზ ქარცივამის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**  
**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**  
**თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე**

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**  
**თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე**

ბიურომ ამ საკითხზეც მიიღო გადაწყვეტილება - განიხილონ შესაბამისმა კომისიებმა და მორიგ ბიუროს სხდომაზე, დასკვნების წარმოდგენის შემდეგ, შეიტანონ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**  
**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**  
**ალეკო მამეშვილი**  
**გოჩა კილაძე**

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

ბიურო დაეთანხმა კომისიას სხდომები გაიმართოს ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს.

**მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**  
**თანამომხსენებელი: ლ.საჯაია**

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა სოფლებში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების განსაზღვრისათვის გამართული კრებების თაობაზე.

**გადაწყვეტეს:**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1, 3 და 7 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესაბამის კომისიებში განხილვისა და დასკვნების წარმოდგენის შემდეგ.

2. N 2,4,5 და 6 საკითხები-შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

3.დამტკიცდეს: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი პროექტი.

გიორგი ღურჯუმიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო